PepsiCo ვალდებულია, პირები, რომლებიც კეთილსინდისიერად მოქმედებენ, PepsiCo-ს ეთიკის და კეთილსინდისიერების კულტურის შენარჩუნებისთვის, ნებისმიერი ფორმით დაიცვას სამაგიეროს გადახდისგან.

ფარგლები

სამაგიეროს გადახდისგან დაცვის ეს გლობალური პოლიტიკა მოქმედებს PepsiCo-ს ყველა პარტნიორის მიმართ, რაც განისაზღვრება, როგორც ყველა თანამშრომელი, მათ შორის PepsiCo-ს კონსოლიდირებული შვილობილი კომპანიები, ისევე როგორც კონტრაქტორები, რომლებიც აწვდიან სერვისებს PepsiCo-ს.

სამაგიეროს გადახდა აკრძალულია

PepsiCo თავის თანამშრომლებს მკაცრად უკრძალავს უშუალოდ ან ირიბად სამაგიეროს გადახდას იმ პირების ან ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მხარს უჭერენ PepsiCo-ს ეთიკის და კეთილსინდისიერების კულტურას. ინდივიდები და ორგნიზაციები მხარს უჭერენ PepsiCo-ს ეთიკისა და კეთილსინდისიერების კულტურას, როდესაც ისინი:

- კეთილსინდისიერად ატყობინებენ, გამოხატავენ შეტყობინების განზრახვას, და/ან ეხმარებიან სხვა პირს ან ორგანიზაციას იმისათვის, რომ შეატყობინონ PepsiCo-ს ქცევის გლობალური კოდექსის (“კოდექსი”), პოლიტიკის ან კანონის ფაქტობრივი ან სავარაუდო დარღვევის შესახებ, ჩვენს კოდექსში აღწერილი შეტყობინების ერთ-ერთი მექანიზმის მეშვეობით, ან ატყობინებენ სახელისუფლებო ორგანოებს;
- თანამშრომლობენ შიდა ან სამთავრობო გამოძიებასთან ან მონაწილეობენ შიდა ან სამთავრობო საქმის წარმოებაში, რომელიც ეხება ფაქტობრივ ან სავარაუდო დარღვევას; ან
- აყენებენ საკითხს ან პრობლემას, ან მიმართავენ რჩევისთვის კონკრეტული ბიზნეს პრაქტიკის, გადაწყვეტილებისა თუ მოქმედების შესახებ.

სამაგიეროს გადახდის განსაზღვრება

ამ პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე, სამაგიეროს გადახდა ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს პიროვნების ან ორგანიზაციისთვის ხელის შეშლას ან დასჯას PepsiCo-ს ეთიკისა და კეთილსინდისიერების კულტურის მხარდაჭერისთვის. ეს მოიცავს შემდეგს:

- ნებისმიერი ქმედება, რომელიც ინდივიდს ართმევს დასაქმების შესაძლებლობებს ან სხვაგვარად უარყოფითად მოქმედებს ინდივიდის მიმდინარე ან მომავალ სტატუსზე, როგორც PepsiCo-ს თანამშრომელზე, ან PepsiCo-თან მისი დასაქმების პირობებზე.
- ნებისმიერი მიზანმიმართული ქმედება, რომელიც კონტრაქტორს ან მიმწოდებელს შესაძლებლობას ართმევს მიაწოდოს მომსახურება ან საქონელი PepsiCo-ს ან სხვაგვარად უარყოფითად მოქმედებს ამ სერვისების ან საქონლის მიწოდების პირობებზე.
- ნებისმიერი სამართლებრივი ქმედება, ან მიზანმიმართული ბიზნეს ან ეკონომიკური სამაგიეროს გადახდა, რეპუტაციის დაზიანება, მუქარა, დაშინება ან ძალადობა ნებისმიერი ინდივიდის ან ორგანიზაციის მიმართ, რომელმაც გამოიწვია კეთილსინდისიერი შეშფოთება PepsiCo-ს ან სამთავრობო უწყების მიმართ ან მონაწილეობა მიიღო გამოძიებაში.

წინამდებარე პოლიტიკა არ ზღუდავს თანამშრომლის ნორმალურ, კანონიერ ბიზნეს პრაქტიკას, როგორიცაა, PepsiCo-ს თანამშრომლის მუშაობის შედეგებზე დაფუძნებული მოქმედებები.

დარღვევების შეტყობინება

თქვენ ვალდებული ხართ შეატყობინოთ წინამდებარე პოლიტიკის სავარაუდო დარღვევების შესახებ თქვენს ხელმძღვანელს, ადამიანური რესურსების წარმომადგენელს, ან იურიდიული დეპარტამენტის ან გლობალური კანონმდებლობის დაცვისა და ეთიკის დეპარტამენტის ნებისმიერ წევრს. ალტერნატივის სახით, სავარაუდო დარღვევების შესახებ შეგიძლით მოახსენოთ პრობლემების დაფიქსირების ცხელი ხაზის საშუალებით (http://www.pepsicospeakup.ethicspoint.com).

არანაირი შეზღუდვა შიდა ან ხელისუფლებისთვის შეტყობინებასთან დაკავშირებით

წინამდებარე პოლიტიკაში ან სხვა დოკუმენტებში არაფერი გიკრძალავთ გამოთქვათ შეშფოთება კოდექსის ან სამართლებრივი პოტენციური დარღვევების შესახებკომპანიის შიგნით ან სამთავრობო უწყებებში, თქვენი დასაქმების ან კონტრაქტორის მომსახურების პერიოდის დროს ან მას შემდეგ.

გარდა ამისა, წინამდებარე პოლიტიკასა თუ PepsiCo-ს ნებისმიერ სხვა პოლიტიკასა და შეთანხმებაში არაფერი ზღუდავს თქვენს შესაძლებლობას, თქვენი დასაქმების პერიოდში ან მის შემდეგ, რომ დაუკავშირდეთ სამთავრობო უწყებებს კოდექსის ან მოქმედი კანონის შესაძლო დარღვევების შესახებ, მიაწოდოთ ინფორმაცია სამთავრობო უწყებებს, შეიტანოთ

საჩივარი სამთავრობო უწყებებში ან მონაწილეობა მიიღოთ სამთავრობო უწყების გამოძიებებსა თუ სასამართლო პროცესებში.

პოლიტიკის დარღვევების შედეგები

PepsiCo-ს ნებისმიერი თანამშრომლის მიმართ, რომელიც დაარღვევს წინამდებარე წესებს, გამოყენებული იქნება დისციპლინური ზომები, დასაქმების შეწყვეტის ჩათვლით. რიგ შემთხვევაში, აკრძალული სამაგიეროს გადახდა შეიძლება იყოს კანონსაწინააღმდეგო მოქმედება და დაექვემდებაროს სისხლის სამართლის ან სამოქალაქო სამართლებრივ ზომებს.

ნებისმიერი კონტრაქტორი, რომელიც ჩართულია აკრძალულ ქმედებებში, შეიძლება დაექვემდებაროს კომპანიისთვის კონტრაქტორის მომსახურების მიწოდებიდან მოხსნას.

კითხვები

დამატებითი ინფორმაციისთვის, რაც შეეხება პრობლემების დაფიქსირებას, იხილეთ ხშირად დასმული კითხვები პრობლემების დაფიქსირების შესახებ. წინამდებარე პოლიტიკასთან დაკავშირებით, შეგიძლიათ ნებისმიერი კითხვით მიმართოთ თქვენი სექტორის, რეგიონის ან ბიზნესის განყოფილების კანონმდებლობის დაცვისა და ეთიკის ოფიცერს. გარდა ამისა, შეგიძლიათ გაუგზავნოთ ელ. ფოსტა გლობალური კანონმდებლობის დაცვისა და ეთიკის დეპარტამენტს, მისამართზე:PepsiCoComplianceandEthics@pepsico.com.